2-15064/25
11-11-2025

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტებზე (N185/3-XIმპ, 05.11.2025)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2025 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების შოთა ბერეკაშვილისა და ლევან მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი - „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები (N185/3-XIმპ, 05.11.2025).

I. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტების თანახმად, ცვლილება შედის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში, კერძოდ აღნიშნულ კანონს ემატება გარდამავალი მუხლი, რომლის თანახმადაც 2022 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და

საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპორადული რეგისტრაციისთვის დადგენილი წესით წარდგენილ განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან შექმნილ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც არ უკავშირდება სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში მდებარე მიწის ნაკვეთს, დასრულდეს საკუთრების უფლების აღიარების საფასურის გადახდის გარეშე, 2022 წლის პირველ იანვრამდე დადგენილი წესით.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდება ცვლილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების — საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებს მიეცემათ შესაძლებლობა განახორციელონ შეთავსებითი სამუშაო.

II. კომიტეტის შეფასება

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით 2026 წლის 1 იანვრამდე შესაძლებელი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში როგორც სისტემური რეგისტრაციის დროს საკუთრების უფლების აღიარების შემთხვევებში, ასევე სპორადული რეგისტრაციის შემთხვევებშიც საკუთრების უფლების აღიარება საფასურის გადახდის გარეშე.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ხელს შეუწყობს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოსა კანონისა და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე

საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ შეასრულონ შეთავსებითი სამუშაო.

ამასთანავე, შემოთავაზებული ცვლილებებით უზრუნველყოფილი იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირების — საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლების მიერ შეთავსებითი სამუშაოს შესრულება.

ამრიგად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებას და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების შოთა ბერეკაშვილისა და ლევან მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი - „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები (N185/3-XIმპ, 05.11.2025) კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისთვის მომზადებულად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
არჩილ გორდულაძე